

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი

2019 წელი

### საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

29 ივნისს, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში“ გაიმართა.

კონფერენცია ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის და ჟურნალის „გლობალიზაცია და ბიზნესის“ ორგანიზებით ჩატარდა.

საქართველოს მეცნიერებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას უცხოელი წარმომადგენლებიც ღებულობდნენ ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა ლატვია, ჩრდილოეთ მაკედონია, უკრაინა, პოლონეთი, ისრაელი და თურქეთი.

პრეზენტაციები წარმოდგენილ იყო პლენარულ სხდომაზე (8 მოხსენება), პირველ სექციაზე - თეორია, მაკროეკონომიკა, ფინანსები და სისტემური პრობლემები (17 მოხსენება) და მეორე სექციაზე - განათლება, ტექნოლოგიები, ინფორმაცია, კომუნიკაცია და ტურიზმი გლობალიზაციის კონტექსტით (10 მოხსენება).

კონფერენციის დასარულს სექციების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ანგარიში სექციების მუშაობის შესახებ. კონფერენციაში მონაწილეებს გადაეცათ ევროპის უნივერსიტეტის სერთიფიკატები.

კონფერენციის მონაწილეების მიერ წარმოდგენილი სტატიები მოგვიანებით დაიბეჭდება კონფერენციის მასალათა კრებულში, ნაწილი კი შესაბამისი დადებითი რეცენზირების შემთხვევაში, რედაქტირების შემდეგ - ჟურნალში „გლობალიზაცია და ბიზნესი“.

<https://eu.edu.ge/ge/news/1161-me-4-saertashoriso-sametsniero-konperentsia-aktualuri-ekonomikuri-da-sotsialuri>

**სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დაიდო მემორანდუმები სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან:**

- საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)  
[http://gtu.ge/cspfnr/Structure Center/Administracia.php?sphrase\\_id=273620](http://gtu.ge/cspfnr/Structure Center/Administracia.php?sphrase_id=273620)

- დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტი (ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/demografiisa-da-sociologiis-instituti>
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
<https://www.ibsu.edu.ge/ge/>
- მეწარმეობისა და მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრი. ლიეტუვა  
<https://jssidoi.org/esc/home>
- აგრარული და სურსათის ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი. პოლონეთი  
<https://www.perceiveproject.eu/partner/institute-of-agricultural-and-food-economics-national-research-institute/>

## სხვა აქტივობები

28 მარტს ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა თეორიული სემინარი - ”საქართველოს ენერგეტიკული სისტემა თანამედროვე გამოწვევების პირობებში”

სემინარზე მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დემურ ჩომახიძე. მის მოხსენებაში განხილული იყო საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობა, ტენდენციები და გამოწვევები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში. საუბარი იყო ასევე ენერგეტიკის პრობლემატიკის კვლევების მიმართულებების შესახებ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში (ქიზიყის და კახეთის რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლება) ფარგლებში.

შეკითხვებით მიმართეს მომხსენებელს: პროფესორმა გოჩა თუთბერიძემ, გივი ბედიანაშვილმა, თორნიკე ხოშტარიამ, დიმიტრი აბზიანიძემ, ასევე დამსწრე სტუდენტებმა.

აზრი გამოთქვას პროფ. გოჩა თუთბერიძემ, გივი ბედიანაშვილმა.

თეორიული სემინარის მუშაობა შეაჯამა: პროფ. გივი ბედიანაშვილმა.

<https://eu.edu.ge/ge/news/993-teoriuli-seminari-temaze-sakartvelos-energetikuli-sistema-tanamedrove-gamocvevebis>

13 მაისს ევროპის უნივერსიტეტში გაიმართა თეორიული სემინარი - „საქართველოს დემოგრაფიული მოდერნიზაცია: გამოწვევები და დემოგრაფიული პოლიტიკის საფუძვლები.“

სემინარზე მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებთა დოქტორი, პროფესორი ავთანდილი სულაბერიძე. მის მოხსენებაში წარმოდგენილი იყო საქართველოს დემოგრაფიული პროცესების თავისებურებები, ტედენციები და გამოწვევები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში. მომხსენებელი შეეხო ასევე დემოგრაფიული პროცესების რეგიონულ ასპექტს, მათ შორის კახეთის რეგიონის დემოგრაფიულ სპეციფიკას.

შეკითხვებით მიმართეს მომხსენებელს: პროფესორმა გოჩა თუთბერიძემ, გივი ბედიანაშვილმა, დიმიტრი აბზიანიძემ, ასევე ევროპის უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამსწრე სტუდენტებმა აზრი გამოთქვეს პროფ. გოჩა თუთბერიძემ, გივი ბედიანაშვილმა, სტუდენტა ნიკა ქიმერიძემ.

თეორიული სემინარის მუშაობა შეაჯამა: პროფ. გივი ბედიანაშვილმა.

<https://eu.edu.ge/ge/news/1038-2019-clis-13-maiss-evropis-universitetshi-teoriuli-seminari-gaimarteba-temaze-sakartvelos>

ჟურნალი “გლობალიზაცია და ბიზნესი“ (<http://www.eugb.ge/>) განთავსდა გლობალურ საინფორმაციო ბაზაში EBSCO-ში, რომელიც, როგორც ცნობილია, ასევე წარმოადგენს ჟურნალების, წიგნების და სხვა ელექტრონული გამოცემების ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკას. აღნიშნული ბაზა მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ასევე ბიზნესის, მედიცინის, სამართლის და სხვა მიმართულებებს. აღსანიშნავია, რომ EBSCO-ს ბაზაში საქართველოდან მხოლოდ ორი ჟურნალია წარმოდგენილი და ერთ-ერთი, სწორედ ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალი - „გლობალიზაცია და ბიზნესი“.

<https://eu.edu.ge/ge/news/1118-saertashoriso-sametsniro-zhurnali-globalizatsia-da-biznesi-globalur-sainpormatsio-baza>